2-6042/20
08-06-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/204; 25.06.2018) და საქართველოს კანონის პროექტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/402; 04.10.2019), აგრეთვე პარლამენტში წარმოდგენილია საქართველოს პროკურატურის 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (N1-6475/20; 15.05.2020) და იურიდიული დახმარების სამსახურის 2019 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (N1-3742/20; 28.02.2020).

აღნიშნულ საკითხებზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ვინაიდან ბოლო დროს ქვეყანაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, ხოლო პანდემიით შექმნილი ვითარება ამჟამადაც გარკვეულწილად შემაფერხებელი გარემოებაა საკითხების საკომიტეტო განხილვის კუთხით, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და აღნიშნული საკითხების სრულყოფილად მომზადების მიზნით, ამ საკითხების საკომიტეტო განხილვის ვადები გაგრძელდეს 3 თვით.

N07-3/402 და N1-6475/20 ზემოხსენებული საკითხების საკომიტეტო განხილვის ვადების გაგრძელების თაობაზე ასევე მოგვმართა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

2-6035/20
08-06-2020

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2019 წლის 15 ოქტომბრის N294/1 გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულო განხილვისთვის გადმოეცა საქართველოს პარლამენტის წევრების ზვიად კვაჭანტირაძისა და ეკა ბესელიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/402; 04.10.2019).

აღნიშნული ინიციატივის სავალდებულო წესით განხილვის ვადა განსაზღვრულია 2020 წლის წლის 12 ივნისამდე.

ობიექტურ მიმეზთა გამო კომიტეტის მიერ საკითხის დადგენილ ვადაში განხილვა ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის გაგრძელება **3 თვით.**

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
სოფიო კილაძე